



ბრძანება

N 4
20/01/2021

შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“ (ს/ნ 405220611, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ალექსიძის ქ. N12) (შემდგომ - ფირმა) რეგისტრირებულია აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-775813.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) წარედგინა სუბიექტის, სს „თიბისი ბანკი“-ს (ს/ნ 204854595) 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი აუდიტორული დასკვნა. სს „თიბისი ბანკი“ წარმოადგენს კომერციულ ბანკს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომ - კანონი) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არის საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ - სდპ).

სს „თიბისი ბანკი“-ს (ს/ნ 204854595) 2019 წლის ინგლისურ ენაზე მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაბამისი აუდიტორული დასკვნა ხელმოწერილია შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“-ს დირექტორის, ლაშა ჯანელიძის (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-562091) მიერ. აუდიტორული დასკვნის თანახმად, აღნიშნული აუდიტორული მომსახურება განხორციელებულია გარიგების პარტნიორის - აგნიეშკა აკორდის მიერ. აგნიეშკა აკორდი აუდიტის განხორციელებისას და წინამდებარე ბრძანების გამოცემის დროს არ ყოფილა რეგისტრირებული აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში.

„კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტორული შემოწმებისა და განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 დეკემბრის №284/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბანკი ვალდებულია აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარადგინოს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე, ერთ-ერთ ენაზე დედნის სახით. თუ დედანი სხვა ენაზეა მომზადებული, მაშინ ქართულ და ინგლისურ ვერსიებთან ერთად აუცილებელია მისი დამატებით წარდგენა. აუდიტირებულ ანგარიშგებებს ორივე ენაზე უნდა ახლდეს აუდიტორული მოსაზრება და მინიმუმ ერთ ენაზე გარიგების პარტნიორის ან აუდიტორული ფირმის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა დასკვნის გაცემის თარიღის მითითებით. დასაშვებია აუდიტორული მოსაზრების და აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით წარდგენა.

კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, გარიგების პარტნიორი არის აუდიტორი, რომელიც აუდიტორულმა ფირმამ კონკრეტული აუდიტის ჩატარებისათვის ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მთავარ პასუხისმგებელ პირად დანიშნა და რომელიც აუდიტორული ფირმის სახელით მოქმედებს, ან აუდიტორი, რომელიც ხელს აწერს აუდიტორულ დასკვნას ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის - 220-ის 7(ა) პუნქტის თანახმად, გარიგების პარტნიორი არის პარტნიორი ან ფირმაში მომუშავე სხვა პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოცემულ გარიგებასა და მის შესრულებაზე, ასევე დასკვნაზე, რომელიც გაიცემა ფირმის სახელით და ვისაც, აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო უფლებამოსილება მინიჭებული აქვს პროფესიული ორგანიზაციისგან, საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ორგანოსგან. კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „აუდიტორულ დასკვნას ხელმოწერით ადასტურებს გარიგების პარტნიორი ან/და აუდიტორული ფირმის მიერ უფლებამოსილი პირი. აუდიტორული ფირმის შიდა პროცედურით შესაძლებელი უნდა იყოს გარიგების პარტნიორის იდენტიფიცირება.“ კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის სამსახურის მიერ დადგენილი წესით განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელმაც გაიარა შესაბამისი ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.“ „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სდპ-სათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას და მის გარიგების პარტნიორს, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აგნიეშკა აკორდს არ აქვს მინიჭებული აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება, შესაბამისად, მას ასევე არ აქვს უფლებამოსილება იყოს აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორი. მოცემულ შემთხვევაში ასევე გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მხოლოდ ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი გავლის შედეგად არის შესაძლებელი გარიგების პარტნიორმა მოიპოვოს სდპ აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება.

შესაბამისად, შპს „ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო“-ს მიერ დარღვეულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნები, კერძოდ, აუდიტორულმა ფირმამ გარიგების პარტნიორად განსაზღვრა არარეგისტრირებული აუდიტორი და ამასთან, არაუფლებამოსილი პირის მიერ მოხდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელება.

კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის V თავით გათვალისწინებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, მე-16 მუხლით განსაზღვრული წესების, მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების და ამ სისტემის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების) დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის დაჯარიმებას 500-დან 5 000 ლარამდე ან/და რეესტრიდან ამოღებას“.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის

შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ფრანსუოთერჰაუსკუპერს საქართველო“ (ს/ნ 405220611) დაჯარიმდეს 1250 (ათას ორას ორმოცდაათი) ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

